

„საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მიერ საქართველოს პარლამენტის აპარატში სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ“ დებულება

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მიერ საქართველოს პარლამენტის აპარატში სასწავლო პრაქტიკის (შემდგომ – პრაქტიკა) გავლის წესსა და პირობებს.

მუხლი 2

პრაქტიკის მიზანია:

- ა) სტუდენტთა პროფესიული მომზადების ხელშეწყობა;
- ბ) სასწავლო პროცესში სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცება;
- გ) სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- დ) კვალიფიციური კადრების მომზადება.

მუხლი 3

პრაქტიკის გავლის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულება და ეს დებულება.

II. პრაქტიკის გავლის ორგანიზება, პარლამენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთობა

მუხლი 4

1. პრაქტიკის გასავლელად სტუდენტები მიიღებიან პარლამენტის საგაზაფხულო ან/და საშემოდგომო სესიის პერიოდში.
2. პრაქტიკის ვადაა 1 თვიდან 3 თვემდე. კონკრეტული ვადა განისაზღვრება ამ დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით.
3. პრაქტიკის პერიოდი არ ანაზღაურდება.

მუხლი 5

1. პრაქტიკის გავლის ორგანიზების მიზნით პარლამენტი თანამშრომლობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

2. პარლამენტის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობა რეგულირდება პარლამენტსა და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (შემდგომ – მემორანდუმი).

3. მემორანდუმს ხელს აწერენ პარლამენტის აპარატის უფროსი, პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, და შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი.

4. მემორანდუმით გათვალისწინებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულება, დროულად აცნობოს პარლამენტს პრაქტიკაგასავლელ სტუდენტთა რაოდენობა (ყოველ ნაკადზე ცალკე), და პარლამენტის ვალდებულება, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აცნობოს პრაქტიკის დაწყებისა და დამთავრების დრო და მისი პერიოდულობა.

მუხლი 6

1. სტუდენტების მიერ პარლამენტის აპარატში პრაქტიკის გასავლელად იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელთანაც პარლამენტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი, წერილობით მიმართავს პარლამენტის აპარატის უფროსს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიმართვას უნდა დაერთოს იმ სტუდენტების სრული სია, რომლებსაც სურთ გაიარონ პრაქტიკა.

3. პრაქტიკის გასავლელად დაიშვებიან დამამთავრებელი კურსის (ბაკალავრიატის) წარჩინებული სტუდენტები.

4. სტუდენტმა პრაქტიკის კოორდინატორს უნდა წარუდგინოს:

ა) ანკეტა (თან ერთვის);

ბ) სტუდენტის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ერთი ფერადი ფოტოსურათი (ზომით 3X4).

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების (შემდგომ – პრაქტიკანტი) მიერ პარლამენტის აპარატში პრაქტიკის გავლის შესახებ ბრძანებას გამოსცემს პარლამენტის აპარატის უფროსი.

მუხლი 7

პრაქტიკის გავლას ორგანიზებას უწევს პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტი, ხოლო პრაქტიკის გავლის პროცესს უშუალოდ ხელმძღვანელობს ამავე დეპარტამენტის თანამშრომელი – პრაქტიკის კოორდინატორი (შემდგომ – კოორდინატორი).

III. (ამოღებულია)

IV. (ამოღებულია)

V. კოორდინატორის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 19

კოორდინატორს უფლება აქვს, აცნობოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს პრაქტიკანტების წარმატებების შესახებ ან მათ მიერ ჩადენილი დარღვევების თაობაზე.

მუხლი 20

კოორდინატორი ვალდებულია:

ა) ორგანიზება გაუწიოს პრაქტიკანტების მუშაობას და მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას;

ბ) დაეხმაროს პრაქტიკანტებს პრაქტიკის მიმდინარეობისას წამოჭრილ საკითხთა გადაწყვეტაში;

გ) უზრუნველყოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეებთან, ცალკეული კომიტეტების, საპარლამენტო ფრაქციების, საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების თავმჯდომარეებთან, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერებთან, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნებთან, პარლამენტის აპარატის დეპარტამენტებისა და სამსახურის ხელმძღვანელებთან, აგრეთვე, სურვილისამებრ, საქართველოს პარლამენტის ცალკეულ წევრებთან პრაქტიკანტების შეხვედრების ორგანიზება. ამ შეხვედრების ფორმატი ითვალისწინებს აქტუალურ თემებზე საუბარსა და დისკუსიას;

დ) პერიოდულად შეამოწმოს პრაქტიკანტების მიერ წარმოებული პრაქტიკის გავლის დღიურები.

VI. პრაქტიკანტის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 21

პრაქტიკანტს უფლება აქვს:

ა) ჰქონდეს სათანადო პირობები მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად;

ბ) ადგილზე ისარგებლოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში არსებული მასალებით (წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა); ინფორმაციის მოძიების მიზნით გამოიყენოს ელექტრონული საშუალებები;

გ) კოორდინატორის მითითებით ან მასთან ერთად, პრაქტიკით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან გამომდინარე, გადაადგილდეს პარლამენტის სასახლეში.

მუხლი 22

პრაქტიკანტი ვალდებულია:

ა) დაიცვას ამ დებულების მოთხოვნები;

ბ) პრაქტიკის მიმდინარეობისას აწარმოოს პრაქტიკის გავლის დღიური, გააკეთოს მასში სათანადო ჩანაწერები და შენიშვნები;

გ) დროულად გამოცხადდეს პრაქტიკის გავლის ადგილას; არასაპატიო მიზეზით არ გააცდინოს პრაქტიკის დღე, ხოლო საპატიო მიზეზის არსებობისას ამის შესახებ დროულად აცნობოს კოორდინატორს;

დ) შეისწავლოს საკანონმდებლო პროცესის სხვადასხვა სტადიაზე მიმდინარე მუშაობის თავისებურებები, რაც მოიცავს პროცესს კანონპროექტის ინიცირებიდან პარლამენტის მიერ საბოლოო რედაქციით მიღებამდე; გაეცნოს პარლამენტის საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმებს;

ე) გაეცნოს საქართველოს პარლამენტის სტრუქტურას, მის აპარატს და აპარატის შემადგენლობაში სტრუქტურული საკოორდინაციო ერთეულების სახით შემავალი დეპარტამენტების, სამსახურის, კომიტეტების აპარატების, აგრეთვე საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების, საპარლამენტო ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის მუშაობას;

ვ) გაეცნოს პარლამენტის ბიუროს საქმიანობას, პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების სამდივნოების მუშაობას;

ზ) გაეცნოს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მუშაობას;

თ) გაეცნოს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგს; დაესწროს პარლამენტის პლენარულ სხდომებსა და კომიტეტების სხდომებს.

VI. პრაქტიკის შეწყვეტის საფუძვლები

მუხლი 22¹

1. პრაქტიკის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) ამ დებულების მოთხოვნათა უხეში დარღვევა;
- ბ) ზედიზედ 5 პრაქტიკის დღის არასაპატიო მიზეზით გაცდენა;
- გ) პრაქტიკის სხვა დაწესებულებაში გავლის ფაქტის გამოვლენა;
- დ) პირადი ინიციატივა;
- ე) პრაქტიკის ვადის გასვლა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პრაქტიკანტის მიერ პრაქტიკის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის აპარატის უფროსი პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტის უფროსის წარდგინების საფუძველზე, ხოლო იმავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პრაქტიკანტის პირადი განცხადების საფუძველზე. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

3. პრაქტიკის ვადის გასვლის შემდეგ გაიცემა პრაქტიკანტის მიერ პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი ცნობა, რომელსაც ხელს აწერს პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტის უფროსი.

VII. დასკვნითი დებულება

მუხლი 23

ამ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

